ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის (ქლლ) უჯრედებში CD180-ის ექსპრესიის შესწავლა

ეკატერინე ბოჭორიშვილი
ნათია ჭანტურია, ნინა კულიკოვა, ნინო ფორაქიშვილი
ელ-ფოსტა: ekaterina.bochorishvili@hotmail.com
ბიოლოგიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ.13, 0143, თბილისი

B ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია (B-ქლლ) ხასიათდება CD5+CD19+CD23+ B კლონური ექსპანსიით. B-ქლლ ჰეტეროგენული დაავადებაა და ნაჩვენები იყო, რომ B-ქლლ შემთხვევები შეიძლება დაიყოს ორ ქვეჯგუფად: მუტირებული IgVH გენებით (კარგი პროგნოზი, დაავადების ნელი მსვლელობა) და არამუტირებული IgVH გენებით (ცუდი პროგნოზი, დაავადების აგრესიული მსვლელობა). ჩვენი ჯგუფის წინა კვლევებში ნაჩვენები იყო, რომ Toll-მსგავსი რეცეპტორების ოჯახის წევრის, CD180-ის ექსპრესია B-ქლლ-ის დროს კორელაციაშია IgVH გენების მუტაციურ სტატუსთან, კერძოდ: CD180 ძირითადად ექსპრესირებულია მუტირებული IgVH გენების მქონე პაციენტებში.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა შესაძლო კორელაცია CD180-ის ექსპრესიის დონესა ა)ქლლ-ის პროგნოსტიკულ ფაქტორებთან („უჯრედების ჩრდილების“ პროცენტულ რაოდენობა, CD38 ექსპრესიის დონე); ბ)ქლლ უჯრედების ფენოტიპურ პროფილთან (CD5,CD19, CD23). კვლევისთვის გამოვიყენეთ პერფერიული სისხლის მონონუკლეური უჯრედები (პსმუ) 32 B-ქლლ პაციენტისგან. ჩვენი მონაცემების მიხედვით „უჯრედების ჩრდილების“ პროცენტული რაოდენობა პირდაპირ კორელირებს CD180 ექსპრესიის დონესთან ($r=0.53$, $p=0.02$) და უკუ-კორელირებს CD38 ექსპრესიის დონესთან ($r=-0.4$, $p=0.03$). იმის გათვალისწინებით, რომ CD38-ის მაღალი ექსპრესია აღიარებულია დაავადების აგრესიული მსვლელობის მარკერად, ჩვენი მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ „უჯრედების ჩრდილების“ მაღალი პროცენტული რაოდენობა დაკავშირებულია უფრო ხელსაყრელ პროგნოზთან.